სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 თებერვალი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/24

ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით რექტორის მოადგილის (გ. ქათამაძე) სამსახურებრივი ბარათის (MES 5 25 0001120289, 11.09.2025), ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 25 0001255708, 01.10.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს **„ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის დონის დადასტურების წესი“** (წინამდებარე დადგენილების **№1 დანართი**).
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), იურიდიულ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის
12 თებერვლის №06-01/24 დადგენილების

№1 დანართი

ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული)
ცოდნის დონის დადასტურების წესი

1. „ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის დონის დადასტურების წესი“ (შემდეგში - „უცხო ენის დადასტურების წესი“) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) სტუდენტების/აპლიკანტების/კანდიდატების უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის (ფლობის) დონის დადასტურების რეგულაციას, მათ შორის:

ა) ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნისათვის;

ბ) ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის (მათ შორის მობილობით) მიზნისათვის;

გ) საერთაშორისო მობილობით (გაცვლითი პროგრამით) უცხო ქვეყანაში სწავლის/სტაჟირების/ვიზიტის უფლების მოპოვების მიზნისათვის.

2. ამ წესით გათვალისწინებული მიზნებისათვის სტუდენტის/აპლიკანტის/კანდიდატის მიერ წარმოდგენილი უცხო ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი სერტიფიკატის განხილვაზე და ენის შესაბამისი დონის დადასტურებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულია ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი (შემდეგში - უცხო ენების ცენტრი). უცხო ენების ცენტრის კოორდინირებით, აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული საგამოცდო კომისია (მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში მისაღები გამოცდებისათვის უცხო ენაში ან ამ წესით გათვალისწინებული მიზნით შექმნილი კომისია).

3. უცხო ენების ცენტრი ხელმძღვანელი, უცხო ენის დონის დადასტურების მიზნით ცენტრში შესულ განცხადებას ან/და უფლებამოსილი დასაქმებულის სამსახურებრივ ბარათს, განსახილველად გადასცემს ცენტრის შესაბამის დასაქმებულს (აკადემიურ პერსონალს)/კომისიას და უზრუნველყოფს, წარდგენილი სერტიფიკატის (დოკუმენტების) განხილვის შედეგზე სამსახურებრივი ბარათის (დასკვნის) ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენას.

4. უცხო ენის ცენტრის/კომისიის სამსახურებრივ ბარათში აისახება დასკვნა, წარმოდგენილი სერტიფიკატის გათვალისწინებით, შესაბამისი უცხო ენის ფლობის დონის დადასტურებაზე (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) ან დადასტურებაზე უარის შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით), ამასთან, შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია აპლიკანტისათვის/კანდიდატისათვის უცხო ენაში გამოცდის (წერილობითი ან გასაუბრება) ჩატარების მიზანშეწონილობის თაობაზე).

5. წინამდებარე წესის მიზნებისათვის ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია (<u>სერტიფიკატის წარმომდგენი აპლიკანტი</u> სტუდენტის <u>მიმღები ფაკულტეტი)</u> ან/და ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეული (სადაც ტარდება კონკურსი/განიხილება დოკუმენტაცია სერტიფიკატის წარმომდგენი აპლიკანტის მონაწილეობით) ორგანიზებას/ადმინისტრირებას უწევს <u>ენის ცოდნის დადასტურების (ან/და გამოცდის ჩატარების) პროცედურების შესახებ აპლიკანტის ინფორმირებას</u>

(სერტიფიკატის განხილვის ვადების, დამატებითი დოკუმენტაციის/განმარტების წარმოდგენის და სხვა ინფორმაციის მიწოდების საჭიროების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს პროცედურის სწრაფად და ობიექტურად განხილვას).

6. უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურებისათვის სახელმძღვანელო განმარტება თან ერთვის წინამდებარე წესს:

ა) დანართი N1 – უცხო ენის ფლობის B1 დონის დადასტურების წესი;

ბ) დანართი N2 – უცხო ენის ფლობის B2 დონის დადასტურების წესი;

გ) დანართი N3 – უცხო ენის ფლობის C1 დონის დადასტურების წესი;

7. წინამდებარე წესი და თანდართული დანართები (უცხო ენის შესაბამისი დონის განმარტების თაობაზე), საჯაროდ ხელმისაწვდომისათვის განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე (ბსუ-ს იურიდიულ ცნობარში, ასევე ამ წესით გათვალისწინებული მიზნებისათვის - ბსუ-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღების/კონკურსების გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო განცხადებებთან ერთად, დაინტერესებული პირებისათვის).

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N06-01/24, 12/02/2026 წ.) დამტკიცებული ,,ბსუ-ში **უცხო ენის** (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) **ცოდნის დონის დადასტურების წესის“** **დანართი 1**
უცხო ენის B1 დონე – ცოდნის განმარტება **(შენიშვნა:** B1 დონე განსაზღვრულია „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“ (ALTE – Association of Language Testers in Europe, www.alte.org) და „უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების“ (CEFRL - Common European Framework of Reference for Languages, www.languagetesting.com) – მიხედვით).
B1 დონის ზოგადი დახასიათება
B1 დონეზე პირს შეუძლია კომუნიკაცია აწარმოოს სოციუმში არსებულ ძირითად თემებზე: პროფესიული საქმიანობა, სასწავლო პროცესი, თავისუფალი დრო, მოგზაურობა და სხვა ყოველდღიური სიტუაციები; შეუძლია თანმიმდევრულად და ლოგიკურად ისაუბროს საკუთარ ინტერესებსა და ყოველდღიურ თემებზე; აღწეროს მიღებული გამოცდილება, მოვლენები, ოცნებები, მიზნები და გეგმები; წარმოადგინოს შეხედულებები და არგუმენტები მოკლე, მაგრამ დასაბუთებული ფორმით.

მოსმენის უნარი	B1 დონეზე პირს შეუძლია გაიგოს ძირითადი შინაარსი ნაცნობ თემებზე (სამუშაო, დასვენება, მოგზაურობა და სხვ.); შეუძლია მკაფიო და ნელი ტემპით წარდგენილი რადიო და ტელეგადაცემების ძირითადი შინაარსის აღქმა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თემატიკა უკავშირდება პირად ან პროფესიულ ინტერესებს; ასევე საშუალო სირთულის ტექნიკური ტექსტების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ინსტრუქციების გაგება.
კითხვის უნარი	B1 დონეზე შეუძლია ყოველდღიური წერილების, ბროშურებისა და ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით რელევანტური ინფორმაციის წაკითხვა და გაგება, საკუთარ ინტერესებთან დაკავშირებული თემების მოძიება და აღქმა, სხვადასხვა წყაროდან მონაცემების შეგროვება განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად.

საუბრის უნარი	შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა საუბარში სხვადასხვა გარემოებებში; თანმიმდევრულად და ლოგიკურად გამოხატოს საკუთარი აზრი ნაცნობ თემებზე, პირად გამოცდილებაზე, ინტერესებზე, გეგმებსა და მოვლენებზე; შეუძლია მოკლე, თუმცა დასაბუთებული არგუმენტების მოყვანა და შეხედულებების გაზიარება.
წერის უნარი	შეუძლია შექმნას მოკლე ტექსტები ნაცნობ თემებზე, როგორიცაა პირადი გამოცდილება, გეგმები, ინტერესები ან მოვლენები; ჩამოაყალიბოს დასაბუთებული არგუმენტები; აწარმოოს წერილობითი კომუნიკაცია მოკლე ოფიციალური წერილებისა და შეტყობინებების სახით. შეუძლია შექმნას მოკლე ესეები თავისი ინტერესების სფეროდან; წერილობით წარმოადგინოს საკუთარი შეხედულებები ამა თუ იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

B1 დონის შესაბამისი საერთაშორისო გამოცდები (**სერტიფიკატების** და ქულების ნუსხა)	
ინგლისური ენა	PET- Preliminary English Test ქულა - Pass with merit
	IELTS - ქულა 4.5 - 5.0
	TOEFL (IBT) - ქულა 58-65
გერმანული ენა	Zertifikat Deutsch at the Goethe Institute
	Österreichischen Sprachdiplom Deutsch
	Zertifikat Deutsch –B1
ფრანგული ენა	DELF - B1
	TCF - B1

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N06-01/24, 12/02/2026 წ.) დამტკიცებული **„ბსუ-ში უცხო ენის** (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) **ცოდნის დონის დადასტურების წესის“**

დანართი 2

უცხო ენის B2 დონე – ცოდნის განმარტება

(**შენიშვნა:** B2 დონე განსაზღვრულია „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“ (ALTE – Association of Language Testers in Europe, www.alte.org) და „უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების“ (CEFRL - Common European Framework of Reference for Languages, www.languagetesting.com) – მიხედვით.)

B2 დონის ზოგადი დახასიათება

B2 დონე გულისხმობს ენის ძირითადი სტრუქტურების გამოყენების უნარს და სხვადასხვა კომუნიკაციური სიტუაციების მართვას შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით. B2 დონის მცოდნე ფლობს შედარებით ფართო ლექსიკას და შეუძლია მოსმენის და კითხვის პროცესში არა მხოლოდ ამა თუ იმ ინფორმაციის გაგება, არამედ ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხების, ტექსტის მთავარი შინაარსის და კონკრეტული დეტალების აღქმა. B2 დონის მფლობელს შეუძლია სხვადასხვა კონტექსტების მოქნილად გამოყენება, მოულოდნელ სიტუაციებზე ადეკვატურად რეაგირება. B2 დონის ცოდნა საშუალებას აძლევს პირს ეფექტურად შეასრულოს

საოფისე და ადმინისტრაციული საქმიანობები, წარმატებით გაიაროს სხვადასხვა სფეროში კურსები უცხო ენაზე.	
მოსმენის უნარი	B2 დონის შემსწავლელს შეუძლია აღიქვას მეტყველება (ცოცხალი ან ჩანაწერი) სალიტერატურო ნორმების ფარგლებში, ნაცნობ და ზოგჯერ უცნობ თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო ან პროფესიულ სფეროებთან. ტექსტის სრული აღქმა შეიძლება შეაფერხოს რთული იდიომატური ერთეულების გამოყენებამ. შემსწავლელს შეუძლია აღიქვას ლექციების, მოხსენებების და ტელე- თუ რადიოგადაცემების ძირითადი აზრი, მათ შორის საშუალო სირთულის თემებზე, თუკი თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ნაცნობია.
კითხვის უნარი	შეუძლია აღიქვას კომპლექსური ტექსტების ძირითადი აზრი კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე, დამოუკიდებლად მოიძიოს ინფორმაცია და შეარჩიოს კითხვის სტილი და ტემპი ტექსტის ტიპისა და მიზნის შესაბამისად. მას აქვს მდიდარი ლექსიკური მარაგი, თუმცა იშვიათად გამოყენებული იდიომების ინტერპრეტაცია შესაძლოა გამოწვევად იქცეს. შეუძლია გაიგოს გრძელი და რთული ინსტრუქციების არსი და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ლექსიკონი. ასევე შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შეფასება, ინტერპრეტაცია და სინთეზი მოკლე ან სამეცნიერო ტექსტების მოსამზადებლად,
საუბრის უნარი	B2 დონის მფლობელს შეუძლია თავისუფლად და ბუნებრივად ჩაერთოს კომუნიკაციაში უცხოენოვან თანამოსაუბრესთან, მკაფიოდ და დეტალურად გამოხატოს აზრი სხვადასხვა თემაზე, დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია მიმდინარე საკითხებზე. შეუძლია გრამატიკული ან სტრუქტურული შეცდომების დამოუკიდებლად შესწორება.
წერის უნარი	B2 დონის მფლობელს შეუძლია შექმნას წერილები და ესეები, რომლებშიც ასახავს მოვლენისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებასა თუ საკუთარ გამოცდილებას. შეუძლია სტრუქტურირებული და მკაფიო ტექსტის სხვადასხვა თემაზე მომზადება, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება.
B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა:	
ინგლისური ენა	TOEFL Paper 513-547
	TOEFL CBT – 183-210
	TOEFL IBT - 65-78
	IELTS 5.5-6.5
	FCE – 161-180
	CERTUS – 72-88.25
გერმანული ენა	Goethe - Zertifikat B2
	Deutsches Sprachdiplom (DSD)
	TestDaF- Niveaustufe 3 (TDN 3)
	DSH 1

	UNIcert II
	telc B2
ფრანგული ენა	Diplôme d'Etudes en Langue Française DELF B2 (51-დან)

ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების **B2** დონეზე (ALTE/CEFRL) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები **(ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს** კანდიდატს სხვადასხვა მიზნებისთვის დანიშნული გამოცდებისაგან **(სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღები გამოცდისაგან და სხვა** შემთხვევებში). აღნიშნული დონის სერტიფიკატის განხილვა (შეფასება/დადასტურება) და სერტიფიკატის მფლობელის (სტუდენტი/აპლიკანტი) გათავისუფლება უცხო ენის გამოცდისაგან ხორციელდება **ბსუ-ს ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ.**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N06-01/24, 12/02/2026 წ.) დამტკიცებული **„ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის დონის დადასტურების წესის"**

დანართი 3

უცხო ენის C1 დონეზე ცოდნის განმარტება

(შენიშვნა: **C1** დონე განსაზღვრულია „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის" (**ALTE** – Association of Language Testers in Europe, www.alte.org) და „უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების" (**CEFRL** - Common European Framework of Reference for Languages, www.languagetesting.com) – მიხედვით.

C1 დონის ზოგადი დახასიათება

CEFRL-ის მიხედვით, **C1 დონე გულისხმობს:**

დიდი მოცულობის, რთული ტექსტების სრულფასოვან გაგებას და სიღრმისეული, იმპლიციტური ინფორმაციის ინტერპრეტაციას;

აზრის ბუნებრივ, სპონტანურ გამოხატვას, კონტექსტისთვის შესაბამისი გამონათქვამის შერჩევას დაყოვნების გარეშე;

ენის ეფექტურ გამოყენებას სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისათვის;

რთულ თემებზე კარგად სტრუქტურირებული და გასაგები ტექსტების შექმნა.

მოსმენის უნარი	C1 დონის მფლობელს შეუძლია ვრცელი და რთული საუბრების აღქმა ზოგიერთი დეტალის დაზუსტებით. იგი ფლობს მდიდარ ლექსიკურ მარაგს და იდიომატური გამოთქმების უმრავლესობას; შეუძლია რთული ტექნიკური ინფორმაციის აღქმა. თავისუფლად იგებს ტელე- და რადიოგადაცემების, სხვადასხვა პროგრამებისა და ფილმების შინაარსს, ნებისმიერი სახის დისკუსიებსა და მსჯელობებს; აღიქვამს სხვადასხვა ტიპის მათ შორის არასალიტერატურო ლექსიკისა ან სპეციალურ ტერმინოლოგიის შემცველ ტექსტებს.

კითხვის უნარი	შეუძლია სრულად აღიქვას რთული და დიდი მოცულობის მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, ვრცელი ინსტრუქციები, წერილობითი კომუნიკაციის ენობრივი ერთეულები (მათ შორის არქაული ფორმები) და აღიქვას იმპლიციტური და ექსპლიციტური შინაარსი.
საუბრის უნარი	C1 დონის მფლობელი თავისუფლად და ეფექტურად გადმოსცემს აზრს, იყენებს მრავალფეროვან ლექსიკას, სტილისტურ და იუმორისტულ ხერხებს, ეფექტურად წარმართავს დიალოგს, პრეზენტაციასა და მოხსენებას რთულ თემებზე, სწრაფად ასწორებს დაშვებულ შეცდომებს, იცავს გრამატიკულ სისწორეს და ინტონაციურ სიზუსტეს, კრიტიკულად აფასებს სხვადასხვა დებულებას და განმარტავს მათ შესაბამისი მაგალითებისა და არგუმენტაციის გამოყენებით.
წერის უნარი	C1 დონის მფლობელს შეუძლია შეადგინოს სტრუქტურირებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტექსტები. იგი ეფექტურად წარმოგვიდგენს იდეებს მაგალითებისა და არგუმენტების გამოყენებით, ზუსტად გამოხატავს აზრს პირად და არაოფიციალურ წერილებში და მიზნობრივად იყენებს ენობრივ საშუალებებს სხვადასხვა ემოციის, განწყობის გამოსახატად.
C1 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა:	
ინგლისური ენა	TOEFL Paper 590-637
	TOEFL CBT – 243-270
	TOEFL IBT - 82-90
	IELTS -7-8
	CAE - 181 -200
	CERTUS - 88,25-100
გერმანული ენა	Goethe - Zertifikat B2
	Deutsches Sprachdiplom (DSD)
	Zertifikat Deutsch –B1
	TestDaF-Niveaustufe 3* (TDN 3)
	DSH 1
	UNIcert II
ფრანგული ენა	Diplôme d'Etudes en Langue Française DALF C1 (51-დან)

ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების **C1** (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) **ათავისუფლებს** კანდიდატს სხვადასხვა მიზნებისთვის დანიშნული გამოცდებისაგან (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღები გამოცდისაგან და სხვა შემთხვევებში). აღნიშნული დონის სერტიფიკატის განხილვა (შეფასება/დადასტურება) და სერტიფიკატის მფლობელის (სტუდენტი/აპლიკანტი) გათავისუფლება უცხო ენის გამოცდისაგან ხორციელდება **ბსუ-ს ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ.**